საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

გადაწყვეტილება N 882014621831-06 (21.11.2014)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No. 882014621831; 19 ნოე 2014; განმცხადებელი: შპს ვაზი, მისამართი: ,,). განცხადებით მოთხოვნილია უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია , მდებარე ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , დავით აღმაშენებლის ქუჩა N4 [ზონა:თბილისი, სექტორი:წყნეთი]

განცხადებაზე თანდართულია:

1. ამონაწერი შესაბამისი (საგადასახადო/იუსტიციის) რეესტრიდან
2. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
3. აზომვითი ნახაზი;
4. ბრძანება N976548;
5. ელ.ვერსია;

წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადით მოთხოვნილია ამხანაგობის წევრის/წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე მდებარე ქალაქი თბილისი , ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , დავით აღმაშენებლის ქუჩა N4.
აღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებლობა მიმდინარეობს თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2013 წლის N976548 ბრძანებით შთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად. გაცნობებთ, მითითებული ბრძანება და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული პროექტი ერთმანეთთან შეუსაბამობაშია. კერძოდ: ბრძანებით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფართობი 696.9 კვ.მ კომერციული ფართობი 210.6 კვ.მ ხოლო პროექტით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფართობი 699.1 კვ.მ კომერციული ფართობი 204.6 კვ.მ

შესაბამისად დამატებით წარმოსადგენია ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი საპროექტო დოკუმენტაცია და საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მყოფი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი ქაღალდის და ელ. ვერსია.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.